ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2395022

ნომერი: AR1368391

თარიღი : 04.01.2016

გაცემის თარიღი : 22.01.2016

გაცნობის თარიღი : 27.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო ბაციაშვილი პ/ნ 01024020399
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 25/13 ბ. 40

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.12.2012 წ. №481990 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04.01.2016 წ. #AR1368391 განცხადებით მომართა მოქ. სერგო ბაციაშვილმა და მოითხოვა 25.12.2012 წ. №481990 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო საკადასტრო ერთეულის მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25.12.2012 წ. №481990

გადაწყვეტილებით #01.13.05.063.048 (5970 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სასაწყობო შენობა–ნაგებობების აშენების მიზნით დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.09.2015 წ. №2178385 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაფიქსირდა: სასაწყობო შენობა–ნაგებობები და სასადილო შენობა და ასევე დაფიქსირდა ახალი საკადასტრო მონაცემები. განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 25.12.2012 წ. №481990 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: სასაწყობო შენობა–ნაგებობის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.12.2012 წ. №481990 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: სასაწყობო შენობა–ნაგებობა;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.12.2012 წ. №481990 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.